ᲥᲕᲘᲠᲤᲐᲡᲝ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲛᲐᲛᲣᲚᲔᲜᲝ!

13 ᲛᲐᲘᲡᲡ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲐᲓᲠᲔ ᲒᲐᲣᲬᲧᲔᲗ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ ᲐᲚᲘᲜᲘᲨᲜᲔᲑᲐ ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲣᲠᲘ ᲓᲦᲔ. ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲞᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲐᲓ ᲐᲛ ᲡᲐᲧᲝᲕᲔᲚᲗᲐᲝ-ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲖᲔᲘᲛᲨᲘ ᲛᲝᲜᲐ�წᲘᲚᲔᲝᲑᲐᲡ ᲕᲗᲮᲝᲕᲗ ᲧᲕᲔᲚᲐᲡ, ᲒᲐᲜᲣᲠᲩᲔᲕᲚᲐᲓ ᲐᲡᲐᲙᲘᲡᲐ.

ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲓᲔᲗ ᲡᲣᲤᲗᲐ ᲰᲐᲔᲠᲖᲔ, ᲒᲐᲕᲯᲐᲜᲡᲐᲦᲓᲔᲗ, ᲒᲐᲕᲚᲝᲜᲘᲔᲠᲓᲔᲗ! ᲛᲘᲕᲐᲣᲠᲝᲗ ᲞᲐᲠᲙᲔᲑᲡ, ᲡᲙᲕᲔᲠᲔᲑᲡ, ᲢᲣᲠᲘᲡᲢᲣᲚ ᲑᲘᲚᲘᲙᲔᲑᲡ, ᲡᲢᲐᲓᲘᲝᲜᲔᲑᲡ, ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚ ᲛᲝᲠᲔᲓᲜᲔᲑᲡ, ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲔᲑᲡ, ᲙᲝᲠᲢᲔᲑᲡ, ᲐᲣᲖᲔᲑᲡ... ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲕᲘᲮᲡᲔᲜᲝᲗ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲣᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲔᲡᲘ ᲡᲐᲣᲜᲯᲔ — ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲝᲑᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲮᲐᲚᲮᲣᲠᲘ ᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘ.

ᲐᲛ ᲓᲦᲔᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲢᲠᲐᲜᲡ�პᲝᲠᲢᲘᲓᲐᲜ ᲣᲐᲠᲘᲠᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲕᲔᲚᲝᲡᲘᲞᲔᲓᲘ. ᲛᲝᲜᲓᲘᲗ, ᲧᲕᲔᲚᲐᲛ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲔᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲓᲦᲔ ᲒᲐᲕᲐᲢᲐᲠᲝᲗ ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚ ᲢᲐᲜᲡᲐᲪᲛᲔᲚᲨᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲗᲐᲜ, ᲛᲔᲖᲝᲒᲚᲔᲑᲗᲐᲜ, ᲝᲯᲐᲮᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ, 13 ᲛᲐᲘᲡᲡ, 13 ᲡᲐᲐᲗᲖᲔ ᲡᲐᲛᲐᲡᲘ ᲐᲠᲐᲒᲕᲔᲚᲘᲡ ᲝᲒᲔᲚᲘᲡᲙᲗᲐᲜ ᲐᲘᲜᲘᲗᲔᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚ ᲒᲛᲘᲠᲗᲐ ᲮᲡᲝᲕᲜᲘᲡ ᲩᲘᲠᲐᲚᲓᲐᲜᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲠᲑᲔᲜᲘᲡ ᲛᲝᲣᲕᲐᲠᲣᲚᲔᲑᲘ 13 ᲙᲘᲚᲝᲛᲔᲢᲠᲘᲡ ᲒᲐᲠᲑᲔᲜᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲛᲘᲘᲢᲐᲜᲔᲜ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲓᲘᲓᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲘᲕᲐᲜᲨᲘ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲡᲘᲛᲑᲝᲚᲣᲠᲘ ᲪᲔᲪᲮᲚᲡ ᲐᲐᲑᲘᲖᲑᲘᲖᲔᲑᲔᲜ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲗᲐᲛᲑᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲒᲐᲛᲝᲩᲔᲜᲘᲚᲘ Ს�პᲝᲠᲢᲡᲛᲔᲜᲔᲑᲘ.

ᲔᲡ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲛᲐᲡᲝᲛᲠᲘᲕᲘ ᲑᲐᲠᲑᲔᲜᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲨᲘᲪ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲐᲡ ᲕᲗᲮᲝᲕᲗ ᲧᲕᲔᲚᲐᲡ, ᲛᲝᲠᲑᲔᲜᲚᲔᲑᲗᲐᲜ ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲐ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲜᲔᲑᲘᲡᲛᲘᲔᲠ ᲛᲝᲜᲐᲪᲕᲔᲗᲨᲝᲡ ᲓᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲘᲛᲓᲔᲜᲘ ᲑᲐᲘᲠᲑᲔᲜᲘ, ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲪ ᲡᲣᲠᲡ. ᲐᲛ ᲡᲐᲥᲛᲔᲨᲘ, ᲘᲛᲔᲓᲘ ᲒᲕᲐᲫᲘ, ᲛᲮᲐᲠᲨᲘ ᲐᲛᲝᲒᲕᲘᲓᲔᲑᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ Ს�პᲝᲠᲢᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘ, ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲛᲝᲜᲘᲡᲗᲐᲕᲘᲗ.

ᲨᲔᲒᲐᲮᲡᲔᲜᲔᲑᲗ, ᲠᲝᲛ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘ ᲗᲐᲕᲐᲓ ᲒᲔᲒᲛᲐᲕᲔᲜ ᲨᲐᲗᲗᲕᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲘᲡᲐᲬᲕᲓᲛᲐ ᲦᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲔᲑᲡ. ᲒᲘᲡᲣᲠᲕᲔᲑᲗ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲐᲡ!

ᲐᲛ ᲗᲔᲛᲐᲖᲔ ᲘᲧᲝ ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ ᲒᲣᲨᲘᲜ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲣᲚ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲡᲮᲓᲝᲛᲐᲖᲔ. ᲔᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲔᲑᲣᲠᲘ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲐᲪ ᲐᲛ ᲡᲮᲓᲝᲛᲐᲖᲔ ᲛᲘᲘᲦᲔᲡ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲤᲡᲐᲙᲐᲨᲨᲘᲠᲗᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠ�გᲐᲜᲝ

ᲚᲔᲚᲝ ᲝᲠᲒᲐᲜ ᲒᲝᲡᲣᲓᲐᲠᲡᲢᲕᲔᲜᲝᲒᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲤᲡᲝᲞᲭᲝᲗᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐᲡ ᲓᲐ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲓᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲜᲣᲠᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

9 ᲛᲐᲘᲡᲘ, ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 1990 Წ.
№ 86 (10 255) ● ᲤᲐᲡᲘ 3 ᲙᲐ�პ.

ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1934 ᲬᲚᲘᲡ 13 Ა�პᲠᲘᲚᲘᲓᲐᲜ

ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲣᲚᲘ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ

ᲒᲣᲨᲘᲜ საქართველოს სპორტსახკომში გაიმართა სპორტსახკომის ხელმძღვანელობისა და 1941-45 წლების სამამულო ომის მონაწილე ვეტერან სპორტსმენთა ტრადიციული შეხვედრა.

საქართველოს სპორტსახკომის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ საპატიო სიგელები გადასცა ჩვენს ვეტერანებს, უსურვა მათ ჯანმრთელობა და ბედნიერება ქართული სპორტის საკეთილდღეოდ.

ᲓᲘᲓᲘ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲔᲚᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲔᲞᲘᲖᲝᲓᲘ

1942 ᲬᲚᲘᲡ ნოემბერში ჩვენი მსროლელი ნაწილი, რომელიც უმეტესად ქართველებით იყო დაკომპლექტებული, ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტზე მნიშვნელოვანი გამარჯვების შემდეგ ბაქსანის ხეობის გავლით და დონღუზ-ორუნბაშის გადასასვლელით ქ. ბათუმში იქნა დისლოცირებული. 3000 მეტრზე მეტი სიმაღლის გადალახვა ღრმა თოვლით დაფარულ გადასასვლელზე უგზოობისა და ინტენსიური თოვლის პირობებში მიმდინარეობდა. ნაწილის ცალკე მეკავშირე ათასეული მოთავსდა ბათუმის ერთ-ერთი სკოლის შენობაში.

ფრონტიდან დაბრუნების შემდეგ მრავალი საზრუნავი გაუჩნდათ დივიზიის ნაწილებს და მათ შორის მეკავშირე ათასეულსაც. ქ. სოხუმში იმყოფებოდა რადიოსადგურების სარემონტო ბაზა, ამიტომაც გადაწყდა მოწყობილობის სოხუმში წაღება, რაც ნაწილის მეთაურობამ მე დამავალა, როგორც საველოსნოების უფროსს. ჩვენს ნაწილში იმყოფებოდა ავთანდილ (ბასა) ღოღობერიძე, წარმოშობით სოხუმელი. სოხუმში მასთან ერთად იქაური ჯარისკაცი რუხაძე (სახელი არ მახსოვს) წავიყვანე.

სოხუმში ბასას სახლში გავჩერდით, მისი მშობლები შინ არ დაგვხვდნენ, სოფელში წასულიყვნენ. ჩვენი იქ ყოფნის დროს ბასასთან ხშირად მოდიოდნენ მეგობრები, მათ მთხოვეს გამეშვა იგი სტადიონზე ფეხბურთის სათამაშოდ. მე არ ვიცოდი თუ ბასა ფეხბურთს თამაშობდა და, როგორც ძველი გულშემატკივარი, მეც გავყევი სტადიონზე.

ჩემს გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა ბასას თამაშს რომ ვუყურებდი, თუ როგორ დანავარდობდა იგი თანატოლთა შორის და დიდად გამოირჩეოდა სხვებისაგან. როდესაც თამაში დამთავრდა, ბასას ვკითხე თუ ასეთი ფეხბურთელი იყო, როგორ ვერ შეძლო თბილისის „დინამოში“ გადასულიყო. მან მიპასუხა, რომ ვერ მოვასწარი ისე მოულოდნელად გამიწვიეს ჯარში.

ამის შემდეგ იმაზე დავიწყეთ ფიქრი, როგორ მოგვეხერხებინა ბასას გადასვლა თბილისის „დინამოში“.

ნაწილის მეთაურთან მაიორ ბალანჩივაძესთან კარგი ავტორიტეტით ვსარგებლობდი და დარწმუნებული ვიყავი ბასას შვებულებაში გაშვებაზე უარს არ მეტყოდა.

სოხუმიდან დაბრუნების შემდეგ გავიდა დაახლოებით 10 დღე და ბასა შვებულებაში გავუშვით ხუთი დღით, მაგრამ ვიცოდი, რომ მას უფრო მეტი დრო დასჭირდებოდა. ბასა დაბრუნდა რამდენიმე დღის დაგვიანებით (მისი ავადმყოფობის შესახებ დეპეშა გვქონდა მიღებული).

მისი დაბრუნების შემდეგ დაახლოებით ერთი თვის თავზე თბილისიდან მოვიდა დეპეშა: „სერჟანტი ავთანდილ ღოღობერიძე მიავლინეთ შინაგანი სამსახურის ჯარის ნაწილში“.

დანარჩენი, თუ როგორ თამაშობდა ბასა ფეხბურთს, თქვენც კარგად იცით...

აი, ასეთი იყო ჩვენი სახელოვანი მამულიშვილის, უაღრესად მორიდებული და თავმდაბალი მოქალაქის, განთქმული ფეხბურთელის ავთანდილ ღოღობერიძის დიდ ფეხბურთში „მივლინების“ პერიპეტიები.

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲚᲘᲚᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
ᲝᲛᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲕᲔᲢᲔᲠᲐᲜᲘ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘ: ᲐᲕᲗᲐᲜᲓᲘᲚ ᲦᲝᲦᲝᲑᲔᲠᲘᲫᲔ (ᲛᲐᲠᲯᲕᲜᲘᲕ) ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ „ᲓᲘᲜᲐᲛᲝᲡ“ ᲡᲢᲐᲓᲘᲝᲜᲖᲔ ᲕᲘᲛᲞᲔᲚᲡᲗᲐᲜ ᲒᲐᲓᲐᲪᲔᲛᲡ ᲛᲔᲢᲝᲥᲔ ᲒᲣᲜᲓᲘᲡ ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲜᲗᲐᲜ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲛᲐᲢᲩᲨᲘ.
ᲤᲝᲢᲝ „ᲚᲔᲚᲝᲡ“ ᲐᲠᲥᲘᲕᲘᲓᲐᲜ.

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲔᲚᲗᲐ ᲧᲕᲐᲚᲑᲣᲠᲗᲔᲚᲗᲐ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ

„ᲡᲐᲥᲣᲗᲐᲠᲘ ᲙᲔᲓᲚᲔᲑᲘᲡ“ ᲤᲐᲡᲘ

ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ მეორე წრეში წარმატებული სტარტის შემდეგ თბილისის „ივერიის“ გუნდის შეჩერება ვერც გორკის „სალიუტმა“ და ვერც ზაპოროჟიეს „სტრელამ“ შეძლეს.

სწორედ ასეთი თანმიმდევრობით დაამარცხეს თბილისელებმა მეტოქეები — 7:6 და 11:2. ამ შეხვედრებიდან განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს გამარჯვება „სალიუტთან“, რომელიც ლიდერთა შორის იმყოფება და თბილისელებთან ერთად იბრძვის პირველ ოთხეულში მოსახვედრად. თამაში დაიწყო ივერიელთა უპირატესობით და უკვე პირველ პერიოდში ეკიზაშვილმა და მარგიევამ (2) სამი გოლი გაიტანეს. სტუმრებმა ამას ერთი ბურთით უპასუხეს.

მეორე და მესამე პერიოდები გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა — მატჩის მიწურულს ანგარიში გათანაბრდა — 5:5. დარჩენილ დროში მასპინძლებმა მოახერხეს მეტოქის გუნდის „გატეხვა“ — მარგიევამ და ლაშქარაშვილმა ზუსტი ტყორცნებით გამარჯვება მოუტანეს თავის გუნდს. გორკელმა გალკინამ ანგარიშში სხვაობის შემცირება შეძლო მხოლოდ ერთი ქულით.

საბოლოოდ — 7:6 „ივერიის“ სასარგებლოდ.

მეორე შეხვედრაში „სტრელასთან“ თბილისელებმა მეტად დაძაბული, თითქმის უშეცდომო თამაში აჩვენეს. ეს არ აიხსნება მხოლოდ მეტოქის სისუსტით, რომელიც ბოლო ადგილზე იმყოფება. ივერიელებს იმ დღეს ყველაფერი გამოსდიოდათ, ყველა სათამაშო კომპონენტში ჭარბობდნენ მეტოქეს.

ამ მატჩში განსაკუთრებით გამოირჩეოდა თბილისელთა ლიდერი მარგიევა, რომელმაც იმ დღეს ოთხი გოლი გაიტანა. შეძლებდა ითქვას, რომ მას „ლომის წილი“ მიუძღვის ორივე შეხვედრის მოგებაში. მარგიევასთან ერთად იმარჯვეს ჩერნიშოვამ (2), ლაშქარაშვილმა (2), ეკიზაშვილმა, აზატიანმა და ქ. გვანცელაძემ. ივერიელთა „გოლების წვიმას“ ზაპოროჟიელმა თავდამსხმელებმა ვ. ლევჩენკომ და პისარიევამ თითო გოლით უპასუხეს.

11:2 — ასეთი ანგარიშით გაიმარჯვეს ჩვენმა წყალბურთელებმა.

თბილისში ჩატარებული 3 შეხვედრიდან „ივერია“ სამივეში გამარჯვებული გამოვიდა.

ჩვენმა გუნდმა საუკეთესო ოთხეულში მოხვედრის შანსი კიდევ უფრო განმტკიცა. ივერიელ გოგონათა ამჟამინდელი სპორტული ფორმა და გამარჯვებისადმი ჟინი იმედს იძლევა, რომ თბილისელთა გუნდი არა მარტო საუკეთესო ოთხეულს დასჯერდება, არამედ...

ᲚᲔᲕᲐᲜ ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

* * *

III ტურის დანარჩენი შეხვედრები ასეთი ანგარიშებით დამთავრდა: „ურალოჩკა“ (ზლატოუსტი) — „სალიუტი“ (გორკი) —9:7, ფიზკულტურის ინსტიტუტი (მოსკოვი) — „ნივა“ (კრასნოდარი) 9:8, უნივერსიტეტი (მოსკოვი) — „სლავუტიჩი“ (კიევი) — 4:7.





ᲡᲐᲠᲑᲘᲔᲚᲖᲔ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ „ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡᲐ“ ᲓᲐ ᲖᲐ�პᲝᲠᲝᲟᲘᲔᲡ „ᲡᲢᲠᲔᲚᲐᲡ“ ᲬᲧᲐᲚᲑᲣᲠᲗᲔᲚᲔᲑᲘ.

ᲒᲘᲐ ᲐᲑᲐᲚᲐᲫᲘᲡ ᲤᲝᲢᲝᲔᲑᲘ.

ᲔᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲐᲜ ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲣᲠᲘ ᲓᲦᲘᲡ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐᲕᲐᲓ

ᲔᲡ ᲓᲦᲔ 13 ᲛᲐᲘᲡᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ ᲐᲦᲘᲜᲘᲨᲜᲔᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

ᲒᲣᲨᲘᲜ რედაქციაში დაგვირეკეს თბილისის სპორტკომიტეტიდან, ქუთაისიდან, თელავიდან, სოხუმიდან და გორიდან — გვაცნობეს, რომ 13 მაისს ამ ქალაქებში ჩატარდება ოლიმპიური დღის აღსანიშნავი ღონისძიებები. ზეიმის პროგრამა მრავალფეროვანია. წინა პლანზე სპორტის ეროვნული სახეობები და ხალხური თამაშობები წამოიწევა.

ᲠᲣᲡᲣᲓᲐᲜ ᲮᲝᲤᲔᲠᲘᲐᲡ „ᲝᲥᲠᲝ“

ᲛᲝᲠᲘᲒ წარმატებას მიაღწია საქართველოს ბატუტისტთა ნაკრებმა გუნდმა საკავშირო თასის გათამაშების მეორე ეტაპზე, რომელიც ამას წინათ გაიმართა ხარკოვში, განსაკუთრებით კარგად გამოვიდა თბილისელი სპორტსმენი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი რუსუდან ხოფერია. მან ოქროს მედალი მოიპოვა ინდივიდუალურ ხტომებში, ხოლო სინქრონულ წყვილთა ასპარეზობაში უკრაინელ ელენა კამეეცთან ერთად მეორე საპრიზო ადგილზე გავიდა. ამ წარმატებით რ. ხოფერიამ მიიღო, ასე ვთქვათ, „ჩასათვლელი ქულა“ საკავშირო ნაკრებში მოსახვედრად. ნაკრები ნოემბერში მონაწილეობას მიიღებს მსოფლიო ჩემპიონატში, რომელიც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქალაქ ესენში გაიმართება.

გაგვახარეს აგრეთვე ანა დოღონაძემ და ლია ბენდიანაშვილმა, მათ ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს წყვილთა გამოსვლებში.

ვაჟთა შორის ასევე მესამე ადგილზე გავიდა ზაზა აბრამიშვილისა და ზაზა ხიზანიშვილის სინქრონული წყვილი. ზ. აბრამიშვილის ეს წარმატება შემთხვევითი არაა, ნიჭიერი სპორტსმენი მუდამ სტაბილურად გამოდის საკავშირო თუ საერთაშორისო ტურნირებში და ქვეყნის ნაკრების კანდიდატიც არის.

საბოლოო ჯამში საქართველოს ნაკრებმა მესამე ადგილი დაიკავა. პირველ ადგილზეა უკრაინის გუნდი, მეორეზე — რუსეთის ფედერაციის.

საქართველოს გუნდს ამზადებდნენ უფროსი მწვრთნელი თენგიზ ხუდოევი, მწვრთნელები— ზაურ სულიაშვილი და ევრიპიდ გალჩევი.

ᲚᲔᲕᲐᲜ ᲒᲔᲠᲫᲔᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ.



დამოუკიდებლობისაკენ... აფრიკის გავლით

მოწვევა ნამიბიიდან

ქართველი მორაგბეების სტუმრობის ამბავი პირველსავე დღეს მოედო მთელ აფრიკას, ამ ტურნეს შესახებ მსოფლიომაც გაიგო. ის იყო, ზიმბაბვეს ნაკრებს მეორე შეხვედრა ულამაზესი თამაშით მოუგო ჩვენმა გუნდმა, რომ ნამიბიიდან ტელექსი მოვიდა — ითხოვდნენ, ჩვენი ნაკრები, თუნდაც ორიოდე დღით, სწვეოდა ამ ქვეყანას. აფრიკაში რაგბი უდიდესი პოპულარობითაა გარემოსილი და ჩვენი მორაგბეების ხელწერის ხილვის სურვილი გაუჩნდა სარაგბო ქვეყნების კიდევ ერთ წარმომადგენელს — ნამიბიას. იგივე შინაარსის ტელექსი საბჭოთა საელჩოშიც მიუღიათ. როგორც გვითხრეს, მოსკოვშიც გაუგზავნიათ საგარეო საქმეთა სამინისტროსა და საკავშირო სპორტსახკომში. ნამიბიის საელჩო დაუყოვნებლივ იძლეოდა ვიზას. საბჭოთა ელჩმა ზიმბაბვეში თავის მხრივ, ეს ამბავი სიხარულით და სიამაყით გვაუწყა, ძალიან დიდ პატივადაც ჩათვალა, მაგრამ ბოლოს დასძინა: ყველაფერი ეს, ცხადია, კარგია, მაგრამ ნამიბიაში თქვენი გამგზავრების საკითხი საბოლოოდ, ალბათ, მაინც მაშინ გადაწყდება, როცა მოსკოვში დაბრუნდებითო.

ეს უკვე მუშაობის ძველი სტილის გამოძახილი იყო.

ნამიბიელები ჩვენი გუნდის სტუმრობას თავის ქვეყანაში მიმდინარე რომელიღაც მნიშვნელოვან ღონისძიებას უკავშირებდნენ და ითხოვდნენ 24 აპრილამდე პირდაპირ ჩავსულიყავით მათს ქვეყანაში. რაღა თქმა უნდა, ხარჯებსაც ისინი გაიღებდნენ. მოსკოვში დაბრუნების შემდეგ ეს ამბავი არავის გახსენებია და აღარც იყო საჭირო... მოსკოვში ჩვენ უკვე 26 აპრილს ვიყავით.

ბოლო სამი დღე, უკან დასაბრუნებელი თვითმფრინავის მოლოდინში, ჩვენი ნაკრები მხოლოდ ვარჯიშებს ატარებდა ზიმბაბვეში. იმ სამ დღეში, რასაკვირველია, ზიმბაბვედან მეზობელ ქვეყანაში გადასვლასაც მოვასწრებდით, მატჩის ჩატარებასაც და შინ დაბრუნებასაც...

შეხვედრა 600 ამერიკულ დოლარად

საქართველოს უჭირს, უჭირს ფინანსურადაც. ურთულესი პრობლემა გახდა სულ მცირეოდენი უცხოური ვალუტის ხელში ჩაგდებაც კი, ხოლო უამისოდ, მოგეხსენებათ, საერთაშორისო სპორტულ ურთიერთობაში, რომლის გზას ჩვენ უკვე პრინციპულად დავადექით, შორს ვერ წახვალ. ის კი არა, „დაუგეგმავი“ სპორტული ღონისძიებებისთვის ჩვენი გაუფასურებული და ილაჯგაწყვეტილი მანეთების გამოყოფაც არ არის იოლი საქმე. რას იზამ, ასეთ პირობებში ვცხოვრობთ ახლა და, თუკი მაინც ვინმეს შემწეობა-დახმარების იმედი გვაქვს, ისევ და ისევ იმ ადამიანებისა და ორგანიზაციებისა, რომლებიც ქართულ სპორტს სპონსორობას უწევენ.

ეროვნულ ნაკრძალში



ქალაქ ბულავაიოს შესასვლელთან

ბარემ აქვე ვიტყვით, მოსკოვი იმავე წესით შეგვეგება, რაც ბოლო ხანებში ტრადიციად იქცა ქართულ სპორტთან ურთიერთობაში. უფრო ხშირად ხელიდან არ უშვებენ დაბინავების პრობლემის ჩვენს საწინააღმდეგოდ გამოყენების შანსს — არ შეიძლება არ გაგამწარონ, ხასიათი არ გაგიფუჭონ, უარესი რომ არ ვთქვათ. თუ სადმე მიდიან ცალკე საქართველოს გუნდები, ან უცხოელები ჩამოდიან ჩვენთან მოსკოვის გავლით, სასტუმროში ადგილებს არ გვიჯავშნიან. ეს რეალობაა და უნდა ითქვას.

მიუხედავად იმისა, რომ თადარიგი ზიმბაბვეში გამგზავრებისთანავე, დროულად დავიჭირეთ, უკან დაბრუნებულებს სასტუმრო „სპორტში“ არც ერთი ნომერი არ გამოგვიყვეს. ქალებმა, რომლებიც

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ლელო“ №84, 85.

იმ ღამეს მორიგეობდნენ, ამჯერადაც დაგვამახსოვრეს თავი აგდებული დამოკიდებულებით და ციინიზმით. არადა, შუაღამე გადასული იყო, ჩვენი დელეგაცია ისევ აიყარა და ის ღამე აეროპორტში გავათიეთ შინ დასაბრუნებელი თვითმფრინავის მოლოდინში.

საბჭოთა საელჩო გვატყობინებდა, რომ იმ დღეებში, როცა ქართველი მორაგბეები ეწვეოდნენ აფრიკას, ზიმბაბვეში ჩავიდოდა ამერიკის შეერთებული შტატების მორაგბეთა ეროვნული ნაკრები და ამერიკის ელჩს მოუთხოვია ჩვენს დელეგაციასთან მათი მორაგბეების შეხვედრა. ამ მეგობრული საღამოს „საწევროს“, 600 ამერიკულ დოლარს, საბჭოთა საელჩო ჩვენ გვთხოვდა. კიდევ კარგი საქართველოს სპორტსახკომმა როგორღაც მოახერხა და იშოვა ეს თანხა. შემდეგ მოხდა საკვირველი ამბავი — ზიმბაბვეში ჩასულებს საკავშირო სპორტსახკომმა ტელექსი დაგვადევნა, რომლითაც ჩვენს დელეგაციას კატეგორიულად უკრძალავდა ვალუტის დახარჯვას. აი „თანადგომის“ შესაშური მაგალითი. ცენტრმა, როგორც ხედავთ, სხვისი ჯიბის პატრონ-მფარველადაც წარმოგვიდგენია თავი. საბჭოთა საელჩოს წარმომადგენელმა ჯერ აეროპორტში ჩასვლისთანავე გააკვლია, გვქონდა თუ არა თან შემოთვლილი 600 დოლარი, მერე უმალვე მოგვაკითხეს სასტუმროში და მოითხოვეს ეს თანხა დაუყოვნებლივ შეგვეტანა საელჩოში.

თითქოს ყველაფერი ეს დეტალებია, მაგრამ რა მნიშვნელობას იძენს ეს დეტალები ურთიერთობათა პრიზმაში, ეს მკითხველმა თავად განსაჯოს.

საელჩოს — მუშაკებს ცოტა არ იყოს ნირი წაუხდათ, როცა იმ ღონისძიების შემდეგ ხარჯების დაწვრილებითი ანგარიში და დარჩენილი თანხის უკან დაბრუნება მოვთხოვეთ — დაგვიბრუნეს 180 დოლარი.

შეხვედრაზე ჩვენმა დელეგაციამ მეგობრული ურთიერთობა დაამყარა ამერიკელ მორაგბეებთან, რაც უთუოდ წაადგება ჩვენს მომავალ საქმეს. ეს ხაზგასმით აღნიშნეს თავიანთ გამოსვლებში ამერიკის ელჩმა ზიმბაბვეში და საქართველოს სპორტსახკომის თავმჯდომარემ.

ქართულ რაგბის აუცილებლად ესაჭიროება უცხოეთთან დამოუკიდებელი ურთიერთობა და ამისთვის აუცილებელია ირბ-ში გაწევრიანება, აუცილებელია მატჩები მაღალ დონეზე, რაგბის სამყაროში ყველაზე პრესტიჟული ასპარეზობის — მსოფლიო თასის გათამაშებაში მონაწილეობა. მაგრამ ამისთვის აუცილებელია ქართულ რაგბის ჰქონდეს თავის შემოსავალი, ჰქონდეს უცხოური ვალუტა. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ახლო მომავალში ჩვენ ამას შევძლებთ.

შეხვედრა ლეგენდასთან

დიდად მადლობელი დავრჩით, რომ მასპინძლებმა ჩვენი დელეგაციის საექსკურსიო გეგმაში მთელს მსოფლიოში სახელგანთქმული ჩანჩქერის ვიქტორია-ფოლზის ნახვაც შეიტანეს. ამ საცრებას, როგორც იტყვიან, ვერ აღწერ, იგი უნდა ნახო და განიცადო. გვერუდან ერთი ღამე ვიარეთ მატარებლით ვიქტორიამდე. ერთი დღეც იქ გავატარეთ და კვლავ მატარებლით დავბრუნდით გვერუში. ვიქტორიის მომხიბლავი სასტუმროს შესანიშნავ საზაფხულო პავილიონში ვისადილეთ. იქვე დავისვენეთ საცურაო აუზზე, სადაც ერთ-ერთი ბარი პირდაპირ წყალზეა გადამდგარი, სკამები კი აუზში დგას. ასე რომ, მსურველს შეუძლია წყლიდან ამოუსვლელად მიირთვას ყავა, წვენი, ლუდი თუ რაიმე გამაგრილებელი სასმელი.

...სადილი მთავრდებოდა, უეცრად ჩვენი მორაგბეები ფეხზე წამოდგნენ. მათკენ მომღიმარი სახით მოდიოდა ახოვანი, ბრგე, ცალხელა ვაჟკაცი, რომელსაც საოცრად მეტყველ სახეზე, მიუხედავად ხანდაზმული ასაკისა, ნათლად ეტყობოდა უდრეკი სული. ანთებული თვალებით მოგვიახლოვდა. ბიჭები თავაზიანად მიესალმნენ მოულოდნელ სტუმარს. ჩვენი მორაგბეებისთვის ეს იყო ცოცხალ ლეგენდასთან შეხვედრა, იმ კაცში ადვილად ამოიცნეს რიი ჯენინგსი— სამხრეთ აფრიკის ნაკრები გუნდის სპრინბოკსისა და მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მორაგბე.

— დღეს მე ექიმებმა მიჩვენეს ერთი თქვენი სპორტსმენი, რომელსაც ტრავმა მიუღია, პრესაც იუწყებოდა თქვენს სტუმრობაზე, ერთი მატჩიც ვნახე, დავინტერესდი და გეწვიეთ — მინდა გავიგო, ვინ ხართ, საიდან ჩამოხვედით, რა გეგმები გაქვთ. — ღიმილით თქვა მან.

საუბარი დიდხანს გაგრძელდა. ჯენინგსი ბევრი რამით დაინტერესდა, მაგრამ უფრო ჩვენი ბიჭები აძლევდნენ შეკითხვებს ლეგენდარულ სპორტსმენს.

ზაზა ბაძურაძე: სპრინბოკსი რა დონეზეა ამჟერად, შეძლებს გაუმკლავდეს ახალი ზელანდიის ნაკრებს?

— ამჟამად მართლაც ძლიერი ნაკრები გვყავს, ახალზელანდიელებს აუცილებლად მოუგებს.

● რამდენადაც ვიცით, პირობები არ შეცვლილა. რამ განაპირობა ოსტატობის დონის ამაღლება?

— გაიზარდა ფიზიკური კონდიციები. 110-120 კილოგრამი წონის მოთამაშეები მთელი შეხვედრის მანძილზე ისე დარბიან, არ იღლებიან, თანაც დარბიან დიდი სისწრაფით. შემუშავებული გვაქვს საგანგებო ვარჯიშების მწყობრი სისტემა. გულისყური გადატანილია უპირატესად ჟანგბადის მოხმარების რეგულირებაზე, დატვირთვას მორაგბეები იღებენ ჟანგბადის დეფიციტის პირობებშიც, ეს მნიშვნელოვანი ფაქტორია, ვიყენებთ კროსებს. ძალის გამოსამუშავებლად უარს ვამბობთ შტანგით ვარჯიშზე.

● თქვენ თქვით, რომ ჩვენი ერთი მატჩი ნახეთ. ალბათ თამაშში ნაკლსაც შენიშნავდით.



პარარეს ერთი კუთხე

— მომეწონეთ, ამას გულახდილად გეუბნებით, მაგრამ გაოცებული დავრჩი იმით, რომ წელში გამარჯულები თამაშობთ. ეს არაა პროფესიული რაგბის ხელწერა. განსაკუთრებით ეს მორკინალებს ეხება. წახრილებმა უნდა ითამაშოთ. სხვა ნაკლი მე ვერ შევნიშნე, ყველაფერი ჩინებულია.

● თქვენი აზრი სამხრეთ აფრიკის დღევანდელ სპორტზე...

— პოლიტიკისა და სპორტის დაპირისპირება არ შეიძლება. ცხადია, იზოლაცია ხელს გვიშლის. დღეს ჩვენთან არაერთი კარგი სპორტსმენია და მათი უფლებების შეზღუდვით ჩამდვილად ბევრს კარგავს მსოფლიო სპორტული სამყარო. რა დააშავეს სპორტსმენებმა ან გულშემატკივრებმა, ვისთვისაც სპორტი სიხარულია? წარმოიდგინეთ, პელე რომ არ ეხილა მსოფლიოს. ჩვენი ნაკრების კაპიტანი ბოტა ნამდვილად პელეა რაგბიში, მაგრამ...

● არის რაიმე იმედები?

— დიახ, არის. ვფიქრობ, ყველაფერი სასიკეთოდ შეიცვლება. პირველი ნაბიჯები კი ალბათ მაინც სპორტში უნდა გადადგას.

● თქვენ მას შემდეგაც თამაშობდით, რაც მარჯვენა ხელი დაკარგეთ, რა ფუნქციას ასრულებდით საკლუბო გუნდში?

— ძირითადად 8 და 14, ხანდახან კი 15 ნომრით ვთამაშობდი. თავიდან, როცა ორივე ხელი მქონდა, 15 ნომრით გამოვდიოდი მოედანზე — მცველი ვიყავი.

● მორაგბის სპეციალურ ფიზიკურ მომზადებაზე რას გვეტყვით?

— სხვადასხვა ხაზის მოთამაშეებს სხვადასხვაგვარი მომზადება უნდათ. შერკინების ხაზს, მაგალითად, არ სჭირდება გამძლეობა და ისინი არც უნდა ავარჯიშო გრძელ მანძილზე რბენაში. ხაზის მოთამაშეებს, ნახევარმცველებს, მცველებს და საშმეოთხედელებს კი პირიქით, სისწრაფეც უნდა ჰქონდეთ და გამძლეობაც.

მერაბ მარჯანიშვილი: თქვენზე ამბობენ, რომ ლომთან ჭიდელში დაკარგეთ მარჯვენა.

— ეს არ არის სწორი. ხელი მე შახტში დავკარგე. ლომს კი შემდეგ ცალხელა შევება. მაგრამ არის ჩვენთან ერთი მორაგბე, რომელსაც მართლა ლომმა მოაჭამა ხელი. ბევრს ჰგონია, რომ ის მე ვარ.

● საინტერესოა ლომთან თქვენი შერკინების ამბავი- თუ არ შეწუხდებით, იქნებ მოკლედ გაიხსენოთ...

— ცოლთან ერთად ვბრუნდებოდი სახლში, ეს ამ ორი წლის წინათ იყო. უეცრად სიბნელეში ცხოველი მოგვიახლოვდა, ძაღლი გვეგონა. ჩემი მეუღლე გაიტაცა. საბედნიეროდ, ლომი იქვე შევარდა ბუჩქებში. რა მექნა? თავიდან გავიაზრე, ლომის კისერი როგორმე მარცხენა მკლავში მომექცია და შემებოჭა. როგორც იქნა ეს მოვახერხე, გვარიანად დავშავდით მეც და ჩემი მეუღლეც, მერე სოფლელებმაც მოგვისწრეს.

მალხაზ ბეეშვილი: თქვენ წელან ბრძანეთ, ჩვენი გუნდის ნაკლის შესახებ. როგორ ფიქრობთ, გამოგვდის თუ არა ძალისმიერი თამაში?

— ძალისმიერ თამაშს შერკინებისას აუცილებლად მეტი ყურადღება უნდა დაუთმოთ. მატჩს, შეიძლება ითქვას, ის იგებს, ვისაც კარგი, ძალისმიერი მორკინლები ჰყავს. გუნდში შეიძლება იყვნენ კარგი სამმეოთხედელები და სუსტი მორკინლები, ასეთ დროს თამაშს ის აგებს, ვისაც სუსტი მორკინლები ჰყავს, ძლიერი სამმეოთხედელები არ წყვეტენ მატჩის ბედს.

ოლეგ ლიპარტელიანი: ფრანგ ბლანკოს მსოფლიოში საუკეთესო მცველად თვლიან, თქვენც ასე ფიქრობთ?

— არა, მე ასე არ ვფიქრობ. მცველი, რომელიც ყველაზე შედეგიანია საფრანგეთის გუნდში დამიწებებით და ყველაზე შედეგიანი მსოფლიოში მცველებს შორის, თავის ძირითად ფუნქციას არ ასრულებს. ამიტომ მე მას ვერ ჩავთვლი მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესო მოთამაშედ, პირიქით, იგი სუსტიცაა, ალბათ ამიტომაც დაითხოვეს ბლანკო ნაკრებიდან.

● იცოდით რაიმე ადრე ქართველებზე და საქართველოზე?

— არა, ადრე არაფერი მსმენია. ვიცოდი, რომ არის რუსეთი, თურმე თქვენ საუკეთესო მორაგბეები გყოლიათ. ამან ძალიან დამაინტერესა.

ბადრი შვანგირაძე: როგორ ცხოვრობთ, ამჟამად რას საქმიანობთ?

— ძირითადი საცხოვრებელი ადგილი და ბინა არ გამაჩნია, ვცხოვრობ სასტუმროში, იმ ქვეყანაში და იმ ქალაქში, სადაც მუშაობა მიწევს. ინჟინერი ვარ. აი, ახლა ვიქტორია მომეწონა და შეიძლება სახლი აქ ავიშენო.

● თავს ისევ მხნედ გრძნობთ?

— თუ ორი წლის წინათ ლომის მოგერიება შევძელი, ესე იგი, ჯერ ისევ ჯანზე ვარ.

● თქვენს ოჯახში თუ მისდევს ვინმე სპორტს?

— ჩემი მეუღლე ბალახის ჰოკეიში გამოდიოდა. შვილებმა სპორტში დედის გზა აირჩიეს. თუმცა, თავის დროზე მეც ვთამაშობდი ბალახის ჰოკეის, ბეისბოლითაც ვიყავი გატაცებული. ორივე სახეობაში სხვადასხვა დროს ზამბიის ეროვნულ ნაკრებსაც ვამზადებდი.

თენგიზ ბაჩეჩილაძე.

პარარე-თბილისი.
1990 წლის აპრილი.

(გაგრძელება იქნება)

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში
უმაღლესი ჯგუფი

ქუთაისი, ცენტრალური სტადიონი. 7 მაისი

„ქუთაისი“ (ქუთაისი) — „გურია“ (ლანჩხუთი) 2:1 (1:1)

„ქუთაისი“: ჩხეიძე, შავგულიძე, დვალიშვილი (ხუხიაშვილი), ბზიკაძე, თევზაძე, ნადირაძე, პაიკიძე, შავდათუაშვილი (ჯანაშია), შენგელია, დარასელია, ფაიქიძე.

„გურია“: ქანთარია, კაბისაშვილი, ჩხაიძე, დანელია, ბაკურაძე, ცომაია, ბარათაშვილი, ტყებუჩავა, კორღალიძე, ფრიდონაშვილი, უგრელიძე (ხურცილავა).

მსაჯები: ა. მილჩენკო, ფ. ტოროსიანი, ო. გაგუა (სოხუმი).

გაფრთხილებ: ტყებუჩავა, ხურცილავა, ფაიქიძე.

ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენელთა ამ შეხვედრამ, ბუნებრივია, გულშემატკივართა და სპეციალისტთა დიდი ინტერესი გამოიწვია. ალბათ, აღარც კი გვახსოვს, ბოლოს როდის შეიკრიბა ქუთაისის ცენტრალურ სტადიონზე 22000 კაცი. ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილე ზოგიერთი გუნდის მწვრთნელთან ერთად ქუთაისს ესტუმრა დ. ყიფიანი, რომელსაც ფრიად სერიოზული ამოცანა აქვს გადასაწყვეტი — კანდიდატების შერჩევა ეროვნული ნაკრების დასაკომპლექტებლად.

რაც შეეხება მატჩს, იგი უაღრესად დაძაბულად და საინტერესოდ წარიმართა. უკვე შეხვედრის პირველ თხუთმეტ წუთში მეტოქეებმა, მოფარიკაკეების ენაზე რომ ვთქვათ, პირველი ჩხვლეტა მიაყენეს ერთმანეთს. მე-9 წუთზე ფაიქიძემ ისარგებლა „გურიის“ მცველების წამიერი შეყოვნებით და ახლო მანძილიდან ძლიერი დარტყმით გახსნა ანგარიში — 1:0.

საპასუხო ბურთი სულ რაღაც ექვს წუთში გავიდა. კაბისაშვილის ჩამოწოდებულ ბურთს ჰაერში თავით შესწვდა კორღალიძე და ეფექტური დარტყმით გაათანაბრა ანგარიში — 1:1.

პირველი ტაიმის დარჩენილ დროში სიმძაფრემ უფრო იმატა. მეტოქეებს არაერთხელ შეეძლოთ ანგარიშში ცვლილების შეტანა. მიზანთან უფრო ახლოს ლანჩხუთელი ფეხბურთელები იყვნენ. მე-40 და 43-ე წუთებზე ფრიდონაშვილმა და უგრელიძემ კარის აღების რეალური მომენტები დაკარგეს, თუმცა, შავდათუაშვილსაც შეეძლო 30-ე წუთზე თავისი გუნდის დაწინაურება.

რაც შეეხება მეორე ტაიმს, ახალგაზრდა ქუთაისელმა ფეხბურთელებმა შესძლეს თამაშში სრული გარდატეხის შეტანა და მთელი 45 წუთის განმავლობაში მტკიცედ ეპყრათ ხელთ თამაშის სადავეები. მატჩის ბედის გადამწყვეტი 86-ე წუთი გამოდგა, როცა პაიკიძის უძლიერესი დარტყმის შემდეგ ბურთი ხელზე მოხვდა „გურიის“ ერთერთ მცველს და დაინიშნა 11-მეტრიანი, რომელიც კარგად გამოიყენა თევზაძემ.

ლანჩხუთელები დარჩენილ დროში მთელი ძალებით შეეცადნენ მატჩის გადარჩენას, მაგრამ ეს ცდა დაგვიანებული აღმოჩნდა და „ქუთაისმა“ მორიგი გამარჯვებით განიმტკიცა ლიდერის პოზიცია.

როგორც აღვნიშნეთ, მატჩი დაძაბულად მიმდინარეობდა, ხოლო მეორე ტაიმი ძალისმიერ თამაშში გადაიზარდა. ჩვენ არ ვაპირებთ მსაჯობის დონის შეფასებას, ეს სპეციალისტების საქმეა, მაგრამ მატჩის მსვლელობისას მომხდარმა რამდენიმე ეპიზოდმა მაყურებლებში აზრთა მკვეთრი სხვადასხვაობა გამოიწვია.

ეს დისციპლინარული კომისიის საქმეა. ბოლოს იმას აღვნიშნავთ, რომ ქუთაისელ ახალგაზრდა ფეხბურთელთა გუნდი არ შეუშინდა ისეთ გამოცდილ მეტოქეს, როგორიც „გურიაა“ და მათი თამაშის დონემ, განსაკუთრებით მეორე ტაიმში, ქუთაისელ გულშემატკივრებს გაუღვივა რწმენა, რომ ეროვნულ ჩემპიონატში გუნდი წარმატებით იასპარეზებს.

თამაზ კოლხიდელი,
„ლელოს“ ხაკ. კორ.

* * *

ოზურგეთში „მერცხალმა“ დიდი ანგარიშით — 4:0 დაამარცხა სამტრედიის „სანავარდო“.

* * *

სტატისტიკოსის ბლოკნოტში

● რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატში ჩატარდა 8 ტური. სულ განვლილ მატჩებში გატანილია 181 ბურთი. აქედან 118 ბურთი გაიტანეს მასპინძლებმა, 63 კი სტუმრებმა.

● განვლილ 8 ტურში მასპინძელთა გამარჯვებით დამთავრდა 6 შეხვედრა, სტუმრებმა მოიგეს ორი მატჩი, ხოლო ერთი შეხვედრა დამთავრდა ფრედ.

● ჩემპიონატს ერთპიროვნული ლიდერი ჰყავს: 21 ქულით გათამაშებას სათავეში ქუთაისის „ქუთაისი“ ჩაუდგა.

● ბოლო ტურში ყველაზე დიდი ანგარიში დაფიქსირდა ოზურგეთის მატჩში, სადაც ადგილობრივმა „მერცხალმა“ 4:0 სძლია სამტრედიის „სანავარდოს“.

● მხოლოდ მერვე ტურში განიცადა ჩემპიონატში პირველი მარცხი ბათუმის „ბათუმმა“, რომელმაც დათმო შეხვედრა სოხუმში, „ცხუმთან“ — 1:2. ბათუმელებს ამ შეხვედრამდე გოლიც არ ჰქონდათ გაშვებული, მათ კარში ბურთები მ. ჯიშკარიანმა და გ. დოჩიამ გაიტანეს.

● ჩემპიონატში პირველი გამარჯვება იზეიმა ზუგდიდის „ოდიშმა“, რომელმაც თავის მოედანზე ხაშურის „ივერიას“ სძლია — 3:1.

● ყველაზე მეტი გამარჯვება რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატში მოიპოვა ქუთაისის „ქუთაისმა“—7. ჯერ არც ერთი შეხვედრა არ მოუგია ცხინვალის „ლიახვს“. აღსანიშნავია, რომ ამ გუნდმა ყველა მატჩი სტუმრად ჩაატარა.

● ბომბარდირთა დავაში დაწინაურდა ლანჩხუთელი ო. კორღალიძე, რომელმაც ქუთაისელებთან შეხვედრაში მე-7 ბურთი გაიტანა და სათავეში ჩაუდგა რესპუბლიკის ჩემპიონატში მოასპარეზე საუკეთესო სნაიპერთა სიას. 6-6 ბურთი აქვთ გატანილი თბილისის „იბერიის“ ფეხბურთელს გ. გურულს და რუსთაველ მ. ფანცულაიას.

● ყველაზე მეტი ბურთი (21) გაიტანა თბილისის „იბერიამ“, ყველაზე ნაკლები (3) ოჩამჩირის „ამირანმა“.

„ცხუმის“ დასახმარებლად

ერევნის „რაზდანის“ სტადიონზე ჩატარდა სომხეთის და საქართველოს ვეტერან ფეხბურთელთა ნაკრები გუნდების ამხანაგური შეხვედრა, რომელიც მიეძღვნა გამოჩენილი სომეხი ფეხბურთელის არუთიუნ კეგიანის 60 წლისთავს. მატჩი საინტერესოდ წარიმართა. შეხვედრის დასაწყისში თვითონ იუბილარმა გახსნა ანგარიში, შემდეგ კი ლევან ნოდიამ და რამაზ შენგელიამ ორჯერ აიღეს მასპინძლების კარი — 2:1. მატჩის ბოლოს კი ნაზარ პეტროსიანმა გაათანაბრა ანგარიში — 2:2. ასე დამთავრდა ეს შეხვედრა, რომელშიც, საქართველოს ნაკრების ღირსებას სხვა ცნობილ ფეხბურთელებთან ერთად იცავდა „ცხუმის“ პრეზიდენტი გურამ გაბესკირია.

იქვე, გადაწყვეტილ რიგში, ერევნის სოხუმის ცენტრალური სტადიონზე გაიმართება საქვეყნოდ მატჩი სოხუმელ და ერევნელ ვეტერან ფეხბურთელთა შორის. შეხვედრის მთელი შემოსავალი გადაირიცხება „ცხუმის“ ანგარიშზე.

თენგიზ პაპკორია,
„ლელოს“ კორ.

I ჯგუფი

გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი, VIII ტურის შეხვედრები I ჯგუფის გუნდებს. შორის: „ჩიხურა“ (საჩხერე) — „იმერეთი“ (ხონი) 0:1, „შუქურა“ (ქობულეთი) — „ქართლი“ (გორის რ-ნი) 0:2, „ბახტრიონი“ (ახმეტა) — „საპოვნელა“ (თერჯოლა) 1:0, „კახეთი“ (თელავი) — „ალაზანი“ (გურჯაანი) 0:1, „მაღაროელი“ (ჭიათურა) — „დურუჯი“ (ყვარელი) 1:0, „არაგვი“ (დუშეთი) — ტექნიკური უნივერსიტეტი (თბილისი) 3:1, „დინამო“ (გაგრა) — „არმაზი“ (მცხეთა) 4:0, „სულორი“ (ვანი) — „სიონი“ (ბოლნისი) 1:0, „სქურა“ (წალენჯიხა) — „მარგვეთი“ (ზესტაფონი) 2:3, „სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 3:0.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 9 მაისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ალაზანი“	8	7	1	0	13-3	22
„მარგვეთი“	8	6	0	2	13-8	18
„დინამო“	8	5	2	1	17-3	17
„სულორი“	8	5	1	2	9-5	16
„იმერეთი“	8	5	0	3	11-10	15
„სიონი“	8	4	2	2	12-8	14
„არაგვი“	8	3	2	3	9-8	11
„მაღაროელი“	8	3	2	3	9-11	11
ფიზკ. ინსტ.	8	3	2	3	5-7	11
„სქურა“	8	3	1	4	14-13	10
„არმაზი“	8	3	1	4	10-16	10
სტუ	8	3	0	5	12-16	9
„ჩიხურა“	8	3	0	5	8-16	9
„ბახტრიონი“	8	2	3	3	9-13	9
„კახეთი“	8	2	2	4	10-11	8
„დურუჯი“	8	2	2	4	3-7	8
„სამეგრელო“	8	1	5	2	7-7	8
„საპოვნელა“	8	2	1	5	8-12	7
„ქართლი“	8	2	0	6	9-9	6
„შუქურა“	8	1	3	4	9-14	6

გათამაშების ცხრილი

უმაღლესი ჯგუფი

მდგომარეობა 9 მაისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ქუთაისი“ (ქუთაისი)	8	7	0	1	15-7	21
„გორდა“ (რუსთავი)	8	6	1	1	15-4	19
„ბათუმი“ (ბათუმი)	8	6	1	1	13-2	19
„გურია“ (ლანჩხუთი)	8	6	0	2	18-3	18
„იბერია“ (თბილისი)	8	5	2	1	21-5	17
„კოლხეთი-1913“ (ფოთი)	8	5	2	1	14-7	17
„მერცხალი“ (ოზურგეთი)	8	4	3	1	10-3	15
„სანავარდო“ (სამტრედია)	8	4	2	2	11-11	14
„კოლხეთი“ (ხობი)	8	3	2	3	9-10	11
„ივერია“ (ხაშური)	8	3	0	5	7-12	9
„ცხუმი“ (სოხუმი)	8	2	3	3	7-9	9
„დინამო“ (გორი)	8	2	1	5	8-18	7
„ზენიტი“ (გალი)	8	2	1	5	6-16	7
„ოდიში“ (ზუგდიდი)	8	1	4	3	6-7	7
„ხამგურალი“ (წყალტუბო)	8	1	2	5	8-13	5
„შევარდენი-1906“ (თბილისი)	8	1	1	6	6-18	4
„ამირანი“ (ოჩამჩირე)	8	1	1	6	3-15	4
„ლიახვი“ (ცხინვალი)	8	0	0	8	4-26	0

ერთი სპორტული წიგნის თაობაზე

იაფი პოპულარობა?

ამას წინათ გარეუბნის ერთ-ერთ მაღაზიაში შევიძინე ნიკიტა სიმონიანის წიგნი: **Футбол—только игра?** (მოსკოვი, 1989, ტირაჟი 10000 ცალი). ერთი სული მქონდა, როდის მივიდოდი შინ და წავიკითხავდი ცნობილი ფეხბურთელის, მწვრთნელის, თანამდებობის პირის და, რაც მთავარია, მომძე ერის შვილის, საქართველოში გაზრდილი კაცის ჭანაწერებს. რა ვქნათ, გვიყვარს ქართველებს ხეზისგან ნათქვამი თბილი სიტყვები და მეც ხელორად ამის მოლოდინით განვეწყვე. შევცდი!

წინასწარ ორ დასკვნას შემოგთავაზებთ:

1. ნ. სიმონიანის ნაშრომი სამაგიდო წიგნი გახდება ქართველების მოძულეთათვის;

2. „ლეგენდად ქცეული სპორტსმენის“ მოგონებები ლეგენდებითაა სავსე.

სანამ თავად „დატკბებოდეთ“ სიმონიანის შემოქმედებით, მოგახსენებთ ამ წიგნში რამდენიმე შეგნებული, უფრო ზუსტად, პროვოკაციული უზუსტობის შესახებ.

იყო ერთი „მორცხვი და წყნარი“ ბიჭი, რომელსაც ბაბუის სახელი მკრეხარი (სომხურად: განმათავისუფლებელი) ერქვა (სახელი ბევრი თანხმოვნების თავმოყრის გამო ძნელი წარმოსათქმელია, სამაგიეროდ შინაარსი აქვს დიდებული). იგი იზრდებოდა ინტერნაციონალურ ქალაქ სუხუმში (ეს იგივე სოხუმია. რა ემართებათ ამ რუსებს სოხუმის მაგიერ სუხუმს რომ ამბობენ, ოთარის მაგიერ ატარის და ა. შ.), სადაც ცხოვრობენ: რუსები, აფხაზები, უკრაინელები, სომხები, ბერძნები. თითქმის ყველა ერის წარმომადგენლები... გარდა ქართველებისა. ესეც ნ. სიმონიანის აღმოჩენაა.

წამოიზარდა ბიჭი და პირველი, რაც გააკეთა, ის იყო, რომ სახელი შეიცვალა: ეს რა საშინლად ეღერსო! ერთი ასო რომ ჩაესვა „მ“ და „კ“-ს შორის, იქნებ საქმე გამოსწორებულიყო, მაგრამ არ ახურავა ტრადიციის დარღვევა და... დაირქვა ნიკიტა. რატომ მაინცდამაინც ნიკიტა და არა ვლადიმირი? არც მამა, ბ-ნი პოღოსი დაინდო და პავლედ შეცვალა. (რატომ პავლე და არა ხერგო, ეს კი გაუგებარია). როგორც ჩანს, შური იძია მასზე, რადგან მამა ხშირად არიგებდა მშობლიური ენის არმცოდნე შვილს: „სომხური ენა უნდა იცოდეო“.

ნიკიტად წოდებულ მკრტიჩს ჰყავდა ერთი მეგობარი, პავლე ხიბინავა — „დედით სომეხი და მამით მეგრელი“. მიუხედავად დიდი განათლებისა, მკრტიჩ პოღოსის ძეს ანუ ნიკიტა პავლიჩს არ იცის, რომ მეგრელი და ქართველი ერთი ერია, რომ სოხუმში ქართველებიც ცხოვრობენ, რომ საქართველოში ქართულად ლაპარაკობენ.. არც იმის გახსენება იქნებოდა ზედმეტი, რომ არმავირიდან აურილი მეხი ოჯახი საქართველომ შეიკედლა და მას ამისათვის მადლობა ეკუთვნის და არა ღვარძლიანი დამოკიდებულება. თუმცა ეს რა გასაკვირია, როცა იგი არც მეხი წინაპრებისა და მშობლიური ენისადმი ამეღლვნებს ხიყვარულს.

ეს კიდევ არაფერი. თურმე მაშინ, როცა ის ფეხბურთს თამაშობდა, ქართველებმა გადაწყვიტეს ამომავალი ვარსკვლავის გადმობირება, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. ამიტომ მის მიმართ დაიწყეს საშინელი რეპრესიები (დაუპატიმრეს მამა, რომლის საშინაო სახელია პოღოსი, საგარეო კი პავლე). არ იყო საშველი და ერთ მშვენიერ დღეს ბ-ნი ნიკიტა თბილისში აღმოჩნდა. სიმონიანს სადგურზე დახვდა ერთი კაცი, რომელიც საუკეთესოდ ასრულებს შუამავლის როლს და მას მიაცილებს შინაგან საქმეთა სამინისტრომდე. იცით ვინ არის ეს „ერთი კაცი“? ჩვენი გამოჩენილი ფეხბურთელი და ხაამაყო პიროვნება ბორის პაიკაძე (ნეტავ ვინ მისცა უფლება წიგნის ავტორს ასე დაამციროს „ფეხბურთის კარუზო“?). ბევრს ეცადა „კაბინეტის მეპატრონე“ ნიკიტა პავლოვიჩის გადაბირებას. რას არ შეპირდა, გაახსენა ქართველ-ხომეხთა ძმობა, კავკასიელთა ერთად ყოფნის აუცილებლობა... მაგრამ შენც არ მომიკვდე, არაფერი გამოვიდა. ბოლოს გვარის გამოცვლის წინადადებაც კი შესთავაზა: ყოველგვარი სახყიდლის გარეშე სიმონიშვილად გაქცევო... ამ ცდუნებასაც გაუძლო სიმონიანმა და დარჩა ისევ სიმონიანად.

გამოხდა ხანი, ნ. პ. სიმონიანმა გადაწყვიტა წიგნის დაწერა, გარდახული ქარტეხილების აღნუსხვა. „ეროვნული გრძნობის შეურაცხყოფად ხომ არ მიიღებთ, რაც თქვენ ჩაადინეთ ის რომ გამოვამზეურო“ — დაახლოებით ასე შეეკითხა იგი „ქართველ მეგობრებს“. არაო — უპასუხეს მათ, „რას ამბობ, რა შუაშია ეროვნული, დრო იყო ასეთი..“

მოდი და გაიგე ახლა, ვინ არიან ეს „ქართველი მეგობრები“, არარად რომ მიაჩნიათ „ეროვნული გრძნობა“, მორცხვად რომ დაუხრიათ თავი საბჭოთა სპორტის აღიარებული მესვეურის წინაშე და „დროს“ რომ აბრალებენ ყველაფერს.

...როდის დადგება ის დრო, როცა მარტო დროს კი არ დაბრალდება ადამიანების მიერ ჩადენილი სიბილწენი, არამედ ნამდვილ დამნაშავეებს, თვით მოქმედ პირებს.

სიმონიანის ზემოდასახელებულ წიგნში ნათლად გამოიკვეთა ქართველი ერისადმი მავანთა და მავანთა დამოკიდებულება. ამან კი თავისდაუნებურად კიდევ ერთხელ დაარწმუნა სკეპტიკოსები ფეხბურთში ქართული ეროვნული ჩემპიონატების გამართვის აუცილებლობაში. მართლა ის რად ღირს, რომ გზადან ჩამოვიშორებთ სიმონიანთა, მასლაჩენკოთა და მათ მსგავს ქართული სპორტის „გულშემატკივართა“ ცინიკურ არმიას.

სანდრო ბრეგაძე,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახ. უნივერსიტეტის ფილოსოფია-ფსიქოლოგიის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი.

მსოფლიო ჩემპიონატი ტელეეკრანებზე

ფეხბურთის მოყვარულთათვის უკვე ცნობილია, რომ ცენტრალურ ტელევიზიას დაგეგმილი აქვს იტალიის მსოფლიო ჩემპიონატის ყველა 52 მატჩის ტრანსლაცია. შეხვედრათა უმეტესობა ნაჩვენები იქნება პირდაპირი რეპორტაჟით, ხოლო იმ მატჩების ჩანაწერი, რომლებიც დროის მიხედვით დაემთხვევა ერთმანეთს, ნაჩვენები იქნება მეორე დღეს. მსოფლიო ჩემპიონატის შეხვედრათა საბოლოო განრიგი მაისის ბოლოსთვის იქნება მზად, დღეს კი გთავაზობთ ჩემპიონატის პირველი ეტაპის ცხრილს, სადაც მითითებულია მატჩების რიგითი ნომერი, ქალაქი, სადაც შეხვედრა გაიმართება, მეტოქეთა წყვილები და ჩატარების თარიღი.

1. მილანი — არგენტინა — კამერუნი 08.6
2. ბარი — სსრ კავშირი — რუმინეთი 09.6
3. რომი — იტალია — ავსტრია 09.6
4. ბოლონია — არ. გს — კოლუმბია 09.6
5. ფლორენცია — აშშ — ჩეხოსლოვაკია 10.6
6. ტურინი — ბრაზილია — შვეცია 10.6
7. მილანი — გფრ — იუგოსლავია 10.6
8. გენუა — კოსტა-რიკა — შოტლანდია 11.6
9. კალიარი — ინგლისი — ირლანდია 11.6
10. ვერონა — ბელგია — ს. კორეა 12.6
11. პალერმო — ჰოლანდია — ეგვიპტე 12.6
12. უდინე — ურუგვაი — ესპანეთი 13.6
13. ნეაპოლი — არგენტინა — სსრ კავშირი 13.6
14. ბოლონია — იუგოსლავია — კოლუმბია 14.6.
15. რომი — იტალია — აშშ 14.6
16. ბარი — კამერუნი — რუმინეთი 14.6
17. ფლორენცია — ავსტრია — ჩეხოსლოვაკია 15.6
18. მილანი — გფრ — არ. გს 15.6
19. ტურინი — ბრაზილია — კოსტა-რიკა 16.6
20. გენუა — შვეცია — შოტლანდია 16.6
21. კალიარი — ინგლისი — ჰოლანდია 16.6
22. პალერმო — ირლანდია — ეგვიპტე 17.6
23. ვერონა — ბელგია — ურუგვაი 17.6
24. უდინე — ს. კორეა — ესპანეთი 17.6
25. ნეაპოლი — არგენტინა — რუმინეთი 18.6
26. ბარი — კამერუნი — სსრ კავშირი 18.6
27. მილანი — გფრ — კოლუმბია 19.6
28. ბოლონია — იუგოსლავია — არ. გს 19.6
29. რომი — იტალია — ჩეხოსლოვაკია 19.6
30. ფლორენცია — ავსტრია — აშშ 19.6
31. ტურინი — ბრაზილია — შოტლანდია 20.6
32. გენუა — შვეცია — კოსტა-რიკა 20.6
33. ვერონა — ბელგია — ესპანეთი 21.6
34. უდინე — ს. კორეა — ურუგვაი 21.6
35. კალიარი — ინგლისი — ეგვიპტე 21.6
36. პალერმო — ირლანდია — ჰოლანდია 21.6.

მედლები თუ ჯანმრთელობა?

ახლე დაასათაურა თავისი ინტერვიუ კორესპონდენტმა დ. ვრანცევმა, რომელიც გაზეთ „არგუმენტი ი ფაქტის“ 1990 წლის №17-ში დაიბეჭდა. კორესპონდენტის შეკითხვებს პასუხობს სსრ კავშირის სპორტსახკომის თავმჯდომარე ნ. რუსაკი. ვფიქრობთ, ეს ინტერვიუ „ლელოს“ მკითხველებსაც დაინტერესებთ.

● სსრ კავშირისა და რუსეთის ფედერაციის სახალხო დეპუტატების ზოგიერთი კანდიდატის საპროგრამო განცხადებებში გაისმის სპორტსახკომის ლიკვიდაციის მოწოდება. ამავე აზრს გამოთქვამენ თავიანთ წერილებში ჩვენი მკითხველებიც. როგორ კომენტარს გააკეთებდით ამის თაობაზე თქვენ, ნიკოლაი ივანეს ძე?

— სრული სიმართლეა, რომ ჩვენი სპორტული სამინისტროს მუშაობა, ძირითადად, საერთაშორისო რანგის ტურნირებში პრესტიჟული გამარჯვებების მოპოვებისკენ იყო მიმართული. ახლა ამ შეცდომას ვასწორებთ. ეს. რთული პროცესია, მაგრამ ჩვენ ვეძებთ ხალხის აქტიურ დასვენებაში ჩაბმის ახალ ფორმებს იმ მცირე მატერიალური შესაძლებლობებიდან გამომდინარე, რაც დღესდღეობით გაგვაჩნია. მასობრივი და დიდი სპორტის განვითარების მოვლა-პატრონობა ნელნელა გადაეცემა საზოგადოებრივ ფედერაციებს. დროთა განმავლობაში სსრ კავშირის სპორტსახკომი თავის ძალისხმევას გადაიტანს კადრების მომზადებასა და გადამზადებაზე, სპორტსმენებისა და პედაგოგ-მწვრთნელთა სოციალური უფლებების დაცვაზე, ფიზკულტურული მოძრაობის სამეცნიერო-მეთოდურ უზრუნველყოფაზე და სპორტული ნაკეთობების წარმოებაზე. ვფიქრობ სპორტსახკომის გაუქმებაზე ლაპარაკი ნაადრევია. პატარა სახელმწიფოებშიც კი, სადაც სულ 12-15 სამინისტროა, ოლიმპიური კომიტეტების გარდა არსებობს ფიზკულტურისა და სპორტის ხელმძღვანელი ორგანოები.

● მან შემდეგ, რაც აღიარება ჰპოვა პროფესიულმა სპორტმა, ხომ არ აღმოჩნდება ფიზკულტურული მოძრაობა ქვეყანაში გერის როლში? რამდენი თანხა იხარჯება მასობრივ სპორტზე და რამდენი პროფესიონალებზე?

— მე ვიტყოდი, რომ ფიზკულტურული მოძრაობა დღესაც სახელმწიფოს გერის როლშია. თავად განსაჯეთ: ფიზიკური კულტურის ფინანსირება წელიწადში მოთხოვნილების მხოლოდ 20% შეადგენს, რაც დაახლოებით 2,9 მილიარდ მანეთს უდრის. ამასთან, უნდა გავითვალისწინოთ, რომ 2,3 მილიარდ მანეთზე მეტი ეძლევათ იმ ორგანიზაციებს (სახელმწიფო განათლება, პროფკავშირები), რომლებისთვისაც ფიზკულტურის განვითარება არ არის ძირითადი საქმიანობა. სპორტული ღონისძიებების ჩატარებაზე ყოველწლიურად ვხარჯავთ 85 მილიონ მანეთს.

● რა ფულად თანხებს უყოფს სახელმწიფო სსრ კავშირის სპორტსახკომს?

— თავად სსრ კავშირის სპორტსახკომი ფულად სახსრებს ვალიუტასა და მანეთებში ბიუჯეტიდან არ იღებს. სეხელმწიფო ბიუჯეტიდან ნაწილობრივ გამოყოფათ თანხები ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებისთვის რესპუბლიკებს, მხარეებს, ოლქებსა და რაიონებს. ამ მიზნით წლეულს გამოყოფილია 171 მილიონი მანეთი. მაგალითად, რუსეთში, ფიზკულტურასა და სპორტში ყოველი ადამიანისთვის წელიწადში გამოიყოფა 30 კაპიკი. ერთდროულად, რაოდენ პარადოქსულიც არ უნდა იყოს, სსრ კავშირის სპორტსახკომი და რესპუბლიკური სპორტკომიტეტები სხვადასხვაგვარი ბეგარის სახით, მხოლოდ წლეულს, 200 მილიონ მანეთზე მეტს შეიტანენ სახელმწიფო ბიუჯეტში. ვფიქრობ, რომ ასეთი „უარყოფითი“ ბუღალტერიის ფაქტი უნდა მოვიშოროთ და საერთოდ გადავწყვიტოთ, მორალურია თუ არა ჯანმრთელობის დაბეგვრა.

● სპორტის რომელი სახეობებია შემოსავლიანი და რომელი ზარალიანი?

— სპორტის სახეობის განვითარება მხოლოდ სპორტული გამოსვლები არაა. აქ იგულისხმება სპორტსმენის მომზადების მთელი სისტემა, დაწყებული სპორტულ სკოლებში სწავლებიდან. მოგება კი მოაქვთ ცალკეულ, განსაკუთრებულად სანახაობრივ შეჯიბრებებს, ძირითადად კომერციულს. ამიტომ, ჯერჯერობით, სპორტის არც ერთი სახეობა არ არის მომგებიანი. ამასთან, ჩემი აზრით, არ არის სწორი ამ საკითხისადმი პრაგმატული პოზიციებიდან მიდგომა, როდესაც მხოლოდ ფინანსურ მხარეზე მახვილდება ყურადღება.

● როგორია თქვენი დამოკიდებულება იმ საკითხისადმი, რომ ფეხბურთისა და ჩოგბურთისგან მიღებული შემოსავალი ნაწილდება არაპოპულარული სახეობების განვითარებაზე?

— ფაქტიურად, ის თანხა, რომელიც ფეხბურთისა და ჩოგბურთს შემოაქვს, ამავე სახეობების ხარჯების დაფარვასაც არ ჰყოფნის. ძირითად შემოსავალს სპორტსახკომი იღებს „სპორტლოტოდან“ — 152 მილიონი მანეთი, ბეჭდვითი პროდუქციის გამოშვებიდან — 13 მილიონი და წარმოებიდან —7,4 მილიონი. მთელი ფული, მათ შორის ვალუტაც, რომელსაც სპორტის ესა თუ ის სახეობა „გამოიმუშავებს“, ამ წლიდან მხოლოდ მისსავე განვითარებას მოხმარდება.

● როგორ ხდება იმ ცნობილი სპორტსმენების სოციალური უფლებების დაცვა, რომლებმაც დაახრულეს თავიანთი სპორტული კარიერა?

— სოციალური უფლებების დაცვა, ჩვენი გამოჩენილი სპორტსმენებისაც კი, უკიდურესად დაბალ დონეზეა, თუმცა, ბოლო დროს დაწესდა პენსიები დამსახურებული სპორტსმენებისთვის. მათ მიეცემათ ხელფასის 70 პროცენტი სპორტული კარიერის გასრულების შემდეგ მანამდე, ხანამ ისინი დაამთავრებენ სასწავლებელს და მიიღებენ პროფესიას. მზადდება ხელშეკრულება სახდაზღვევასთან სპორტსმენებისა და მწვრთნელების შრომისუნარიანობის დაკარგვის შემთხვევაში კომპენსაციის თაობაზე.

● უწევს თუ არა ამჟამად სპორტსახკომი დახმარებას ელენა მუხინასა და ვალერი ბრუმელს?

— ჩვენ ყოველთვიურად ვუხდით ელენას 514 მანეთს, ზაფხულობით ვქირაობთ მისთვის აგარაკს, მოვიწვიეთ ჩინელი სპეციალისტები, მზად ვართ გავგზავნოთ იგი სამკურნალოდ ჩინეთში. ჯერჯერობით არ შეგვიძლია დავეხმაროთ მთავარში, გავუუმჯობესოთ ჯანმრთელობა. ბრუმელს, როგორც გამოჩენილ სპორტსმენს, ამას წინათ დაენიშნა პენსია.

● რამდენი კაცი მუშაობს სსრ კავშირის სპორტსახკომის სისტემაში და მმართველობის ცენტრალურ აპარატში? როგორია მათი საშუალო ხელფასი? ხდება თუ არა შტატების შემცირება?

— სსრ კავშირის სპორტსახკომის სისტემაში, ეს კი რამდენიმე ათასი სხვადასხვა მმართველი ორგანოა, მათ შორის 95 სასწავლო დაწესებულება და სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი, 390 სპორტული სკოლა, 55 სასწავლო-საწვრთნელი ბაზა, 26 საწარმოო დაწესებულება — მუშაობს 89 ათასი ადამიანი.

ქვეყნის კომიტეტების მუშა აპარატი დაახლოებით 8 ათასია, აქედან 72 პროცენტი რაიონულ და საქალაქო სპორტკომიტეტებში მუშაობს. სსრ კავშირის სპორტსახკომის ცენტრალური აპარატის შტატში 448 თანამშრომელია. ხელმძღვანელი მუშაკების საშუალო ხელფასია 557 მანეთი თვეში, მთავარი სპეციალისტების — 454, წამყვანი სპეციალისტების — 400.

ცენტრალურ აპარატში შემცირება ორჯერ ჩატარდა: 1986 წელს, როდესაც სსრ კავშირის სპორტკომიტეტი გადაკეთდა სსრ კავშირის სპორტსახკომად — 20%-ით და 1988 წელს, კიდევ 20%-ით.

● ხშირად მოგზაურობენ თუ არა სპორტული უწყების ხელმძღვანელები უცხოეთში?

— რაც შემეხება მე და ჩემს მომოადგილეებს, წელიწადში საშუალოდ ორ-სამჯერ გვიწევს მგზავრობა, როგორც წესი, ხელშეკრულებების ხელმოსაწერად სპორტული თანამშრომლობის თაობაზე, საერთაშორისო კონფერენციებსა და თათბირებში მონაწილეობის მისაღებად.

● არსებობს აზრი, რომ სპორტსახკომის აპარატში ბევრი ფუნქციონერია სკკპ ცკ-დან, კომკავშირიდან, პროფკავშირებიდან, სპორტსმენები კი ხელმძღვანელ თანამდებობებზე არ არიან. მართალია ეს თუ არა?

— ეს, როგორც ეტყობა, მე მეხება. მე ვმუშაობდი კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტშიც და პარტიის ცენტრალურ კომიტეტშიც. მაგრამ მანამდე დავამთავრე ფიზკულტურის ინსტიტუტი, ვმუშაობდი ფიზკულტურის მასწავლებლად, მწვრთნელად, ვიყავი ხელმძღვანელი სპორტულ სამუშაოზე. პრაქტიკულად, ყველა ჩვენს მუშაკს სპორტული წარსული აქვს, თუმცა, რასაკვირველია, ყველა ოლიმპიური ჩემპიონი არაა. სპორტსახკომის თამჯდომარის ორი მოადგილე — ა. კოლესოვი და ვ. ზმამტოვი, სპორტის დამსახურებული ოსტატები, ოლიმპიური ჩემპიონები არიან. თავმჯდომარის პირველი მოადგილე ლ. დრაჩევსკი საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი და სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელია.

თავად განსაჯეთ: ჩვენთან მუშაობს 12 ადამიანი, რომლებიც ადრე კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში, კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტში, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში, პროფკავშირში და სხვა პარტიულ თუ კომკავშირულ ორგანიზაციებში მუშაობდნენ. ამასთან, ხუთი მათგანი სსრ კავშირის სპორტსახკომში მუშაობს 15-20 წელზე მეტი ხანია.

● რა დამოკიდებულება აქვს სსრ კავშირის სპორტსახკომს საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტისა და სხვა რესპუბლიკების მმართ, რომლებიც თავიანთ ოლიმპიურ კომიტეტებს ქმნიან?

— ჩვენ, სპორტსახკომში, რესპუბლიკებში შექმნილ ყოველგვარ ოლიმპიურ ორგანიზაციებს განვიხილავთ როგორც სსრ კავშირის ოლიმპიური მოძრაობის შემადგენელ ნაწილს, რომლის ხელმძღვანელობასაც ოლიმპიური ქარტიის თანახმად განახორციელებს სსრ კავშირის ოლიმპიური კომიტეტი. ამ საკითხთან დაკავშირებით სიტუაცია სადღეისოდ რთულია. ვფიქრობ, რომ ამ შეკითხვაზე პასუხს სსრ კავშირის ოლიმპიური კომიტეტის გენერალური ასამბლეა გასცემს, რომელიც ამ წლის ბოლოს უნდა გაიმართოს.

რაც შეეხება სათაურს, ასე გიპასუხებდით: ქვეყანას სჭირდება ჯანმრთელობაც და მედლებიც.

„არგუმენტი ი ფაქტი“ №17, 1990 წ.

62 ბრძოლა დაუმარცხებლად

ჰამბურგი. ჩოგბურთელ ქალთა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირის ფინალში შტეფი გრაფმა (გფრ) დაამარცხა ესპანელი არანტა სანჩესი —— 5:7, 6:0, 6:1. სხვათა შორის, სანჩესმა შარშან საფრანგეთის ღია ჩემპიონატი მოიგო და ფინალში სწორედ გრაფი დაამარცხა. მას შემდეგ დასავლეთგერმანელ ჩოგბურთელს შეხვედრა არ წაუგია. ახლა მას ზედიზედ 62 მატჩი აქვს მოგებული.

წყვილთა ასპარეზობაში პირველი ადგილი ამერიკელმა დუეტმა (მარტინა ნავრატილოვა — ჯიჯი ფერნანდესი) დაიკავა, რომელმაც ფინალში ლარისა სავჩენკოსა და ჰელენა სუკოვას (ჩეხოსლოვაკია) წყვილი დაამარცხა — 6:2, 6:3.

ვაშინგტონი. ბრწყინვალე სპორტულ ფორმაშია 30 წლის ეკვადორელი ჩოგბურთელი ანდრეს გომეში. მან ესპანეთის დედაქალაქში უკვე მეორე საერთაშორისო ტურნირი მოიგო. ამჯერად გომეშმა ფინალში 19 წლის შვეიცარიელ მარკ როსეტის აჯობა — 6:3, 7:6. გომეშმა გამარჯვების შემდეგ განაცხადა, რომ თავს ახლა გაცილებით უკეთ გრძნობს, ვიდრე ხუთი წლის წინ, როცა მსოფლიოს მეხუთე ჩოგბურთელად ითვლებოდა.

მიუნხენი. აქ მიმდინარე საერთაშორისო ტურნირის ფავორიტად ავსტრიელი თომას მუსტერი ითვლებოდა (იგი მსოფლიოს უძლიერეს ჩოგბურთელთა ოცეულში შედის), მაგრამ გადამწყვეტი ორთაბრძოლა ჩეხოსლოვაკელმა კარელ ნოვაჩეკმა მოიგო — 6:4, 6:2.

კიევი. საბჭოთა კავშირის ნაკრები, პორტუგალიის ჩოგბურთელებთან გამარჯვების შემდეგ (4:1), განაგრძობს ბრძოლას დევისის თასის გათამაშებაში, რათა თექვსმეტ უძლიერეს გუნდს შორის მოხვდეს. მომდევნო შეხვედრას ნაკრები სექტემბერში ჩაატარებს.

ველოსპორტის ამბები

მოსკოვი. აქ გაიმართა საკავშირო კონგრესი, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება ახალი საზოგადოებრივი ორგანიზაციის — სსრ კავშირის ველოსიპედისტთა კავშირის შექმნის თაობაზე. გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირეს მოკავშირე რესპუბლიკების ფედერაციებმა (ლიტვისა და ლატვიის წარმომადგენლები კონგრესზე არ ჩამოსულან), აგრეთვე, პროფკავშირების სპორტულმა ორგანიზაციებმა — „დინამომ“, „შრომითმა რეზერვებმა“ და შეიარაღებულმა ძალებმა.

ცხარე კამათის შემდეგ მიღებულ იქნა კავშირის წესდება, რომელიც ახლად შექმნილ ორგანიზაციას ფართო უფლებებს აძლევს ველოსპორტის განვითარებისა და პროპაგანდის საქმეში. სსრ კავშირის ველოსიპედისტთა კავშირმა სპორტის ამ სახეობის საკავშირო ფედერაციის ფუნქციები მიიღო. კავშირის თავმჯდომარედ უკრაინის ფედერაციის წარდგინებით არჩეულია ვალერი სისოევი.

ვადრიდი. ბელგიელ ნიკო ემონდს „დამოკლეს მახვილივით“ აწევს აქ მიმდინარე მრავალდღიან ველორბოლაში („ვუელტა“) აკრძალული სტიმულატორების მიღების ბრალდება. ემონდმა, როგორც ცნობილია, პირველი გამარჯვება ამ რბოლაში მესამე ეტაპზე მოიპოვა. აი, სწორედ მაშინ აუღეს მას ანალიზი, რომელმაც დადებითი შედეგი მისცა. სანამ განმეორებითი ანალიზის შედეგები გახდებოდა ცნობილი, ემონდმა კიდევ ერთი ეტაპი (მეცამეტე) მოიგო. მაგრამ თუ პირველი ანალიზის შედეგი დამტკიცდა, ემონდს საკმაოდ დიდი ფულადი ჯარიმის გადახდა მოუწევს, რომ არაფერი ვთქვათ დისკვალიფიკაციაზე.

ამასობაში კი გრძელდება „ვუელტა“. 13 ეტაპის შემდეგ ლიდერობას ინარჩუნებს იტალიელი მარკო ჯიოვანეტი. საბჭოთა სპორტსმენებიდან საუკეთესო შედეგი (მე-11 ადგილი) აქვს ივან ივანოვს.

პარიზი. ქალთა საერთაშორისო მრავალდღიანი ველორბოლის მეორე ეტაპი (გუნდური შეჯიბრება) კანადელმა სპორტსმენებმა მოიგეს — 39.16,8. საბჭოთა ნაკრები მეოთხე ადგილზე გავიდა — 39.54,7. პირად ჩათვლაში ლიდერები არიან (ერთნაირი დროით) დასავლეთგერმანელი სპორტსმენები პეტრა როსნერი და ვიოლა პაულიტკი.

სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

6 მაისს გაიმართა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩები უმაღლესი და I ლიგის გუნდებს შორის.

უმაღლესი ლიგა: „სპარტაკი“ (მოსკოვი) — „დინამო“ (კიევი) 1:3, „პამირი“ (დუშანბე) — „ცსკა 0:2, „მეტალისტი“ (ხარკოვი) — „შახტიორი“ (დონეცკი) 1:1, „დინამო“ (მინსკი) — „როტორი“ (ვოლგოგრადი) 3:1.

• • •

I ლიგა: „ფახთაქორი“ (ტაშკენტი) — „დინამო“ (სტავროპოლი) 2:2, „კაირატი“ (ალმა-ათა) — „როსტსელმაში“ (დონის როსტოვი) 3:1, „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — „ლოკომოტივი“ (გორკი) 0:0, „კუზბასი“ (კემეროვო) — „ფაკელი“ (ვორონეჟი) 0:1, „ვეოლოგი“ (ტიუმენი) — „ნისტრუ“ (კიშინიოვი) 3:1, „შინიკი“ (იაროსლავლი) — „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) 0:0, „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) — „ზენიტი“ (ლენინგრადი) 5:2.

საკავშირო ტელევიზიამ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ 23 მაისს პირდაპირი ტრანსლაციით გადასცემენ ფეხბურთში ევროპის ჩემპიონთა თასის ფინალურ მატჩს პორტუგალიის „ბენფიკასა“ და იტალიის „მილანს“ შორის. ეს მატჩი, როგორც ცნობილია, შედგება ვენაში.

გარდა ამისა, ამიერიდან სისტემატურად იწარმოებს ამგვარი რანგის საფეხბურთო შეხვედრათა პირდაპირი სატელევიზიო ტრანსლაცია, რაც, რა თქმა უნდა, სასიამოვნო სიურპრიზია ფეხბურთის მოყვარულთათვის. მაგალითად, 16 მაისს, ისრაელის ფეხბურთელები თავიანთ მინდორზე მიიღებენ სსრ კავშირის ნაკრებს, ამ მატჩის უშუალო მსვლელობასაც ვიხილავთ ტელევიზიით.

უზბეკეთის ქალაქ ანდიჟანში 2 მაისს დანიშნული იყო საფეხბურთო მატჩი ადგილობრივ „სპარტაკსა“ და ტაშკენტის „ფახთაქორს“ შორის, მაგრამ ტაშკენტელი ფეხბურთელები თამაშზე არ ჩამოვიდნენ.

გულშემატკივრები, რომელთა შორის მრავლად იყვნენ ნასვამი ხულიგნები, დიდ ჯგუფებად მოედვნენ ქუჩებს, აღმოჩნდნენ წამქეზებლები, მათი პროვოკაციული მოქმედების შედეგად ცეცხლი წაუკიდეს უზბეკეთის კომპარტიის საოლქო კომიტეტის შენობას, გაანადგურეს 127 ობიექტი, ცეცხლი გაუჩინეს ქალაქის პროკურატურას, მაღაზიებს, კიოსკებსა და საყოფაცხოვრებო მომსახურების პუნქტებს, საცხოვრებელ სახლებს, დაზიანეს 14 ავტომანქანა, მათ შორის 5—მილიციისა.

მილიციას იარაღი არ უხმარია, მსხვერპლი არ არის, მაგრამ წესრიგის დამყარებისას დაშავდა 33 სამხედრო მოსამსახურე, 10 მილიციელი, 11 სამოქალაქო პირი.

ოლქის პროკურატურამ აღძრა სისხლის სამართლის ძიება.

„ლელოს“ შემდეგი ნომერი გამოვა შაბათს, 12 მაისს.

რედაქტორი

თ. გაჩეჩილაძე

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380098, თბილისი, მ. კოსტავას ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-58,
„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380098, თბილისი, მ. კოსტავას ქ. 14,
ბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 08 779